ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 3

ქ. ონი 07. 09. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდა 8 წევრი: ბიჭიკო კერვალიშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, შუქურა ჯაფარიძე, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მერის მრჩეველი თამარ ხომასურიძე, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი დავით ჩიხრაძე, შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი გელა მეტრეველი, მერიის შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მარინა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

მომხს. ს. ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. დავით ჩიხრაძე-მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გელა მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

მომხს. ს. ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. დავით ჩიხრაძე-მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გელა მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი აუდიტის ანგარიში განხილული იქნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ანგარიშის მიხედვით დეტალურადაა შესწავლილი და წარმოდგენილი მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელებისას არსებული ხარვეზები. შესაბამისად, კომისიამ დადებითად შეაფასა შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ფრაქციის, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, სხდომაზე განხილული იქნა საკითხი-,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში“. ფრაქცია მადლობას უხდის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს მოწოდებული ანგარიშისთვის, სადაც კვალიფიციურად, ობიექტურად და სიღრმისეულადაა შესწავლილი მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების გაწეული მუშაობა 2020-2021 წლებში. გამოკვეთილია ძალიან ბევრი სამუშაო ხარვეზი შესყიდვების, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების მიმართ, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს რეაგირებას მერიის მხრიდან, რათა მომავალში აღარ განმეორდეს ანგარიშში ასახული დარღვევები. ფრაქციის სხდომამ დადებითად შეაფასა შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნა და მთლიანად ეთანხმება მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს მერიისა და მისი სამსახურების მიმართ.

მ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, ანგარიშით წარმოდგენილი დარღვევები არ ეხება შესყიდვების სფეროს, შესყიდვების სამსახური აცხადებს ტენდერს, რომელიც აბსოლუტურად გამჭირვალეა და რომელსაც აკონტროლებს შესყიდვების სააგენტო, აქედან გამომდინარე, როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილ დასკვნას მან ხელი არ მოაწერა. მ. მაისურაძემ ასევე აღნიშნა, რომ იგი წინასწარ არ იყო ინფორმირებული შესყიდვების სამსახურის შესახებ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საკრებულოს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლ. ორდინიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს არა მხოლოდ შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, არამედ სატენდერო კომისიას და შესყიდული პროექტისა და მასზე განხორციელებული ზედამხედველობის მონიტორინგს, რაც სცილდება შესყიდვების სამსახურის კომპეტენციას, ვინაიდან აღნიშნული სამსახური წარმოადგენს სატენდერო კომისიის ტექნიკურ მხარეს, მისი ფუნქციაა შესყიდვების კანონის შესაბამისი პროცედურების დაცვა და არა გადაწყვეტილების მიღება და შემდგომ ზედამხედველობის განხორციელება.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საკმაოდ კრიტიკულია. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყდა: ცნობად იქნა მიღებული ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ანგარიში. შენიშვნები და რეკომენდაციები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე